

შპს ევრო კავკასუს სუპლიეს

ს/კ 400018468

ქ. თბილისი სამგორის რიხი #5

შპს ევრო კავკასუს სუპლიეს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ევრო კავკასუს სუპლიეს“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 28/03/2011 წელს.

რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად და მინიჭებული აქვს ს/კ 400018468.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება დირექტორს, ავთანდილ სალახოვს პ/ნ 01791018144.

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი სამგორის რიხი #5

დღეს გადამხდელად რეგისტრირებულია 13.04.2011

დამფუძნებლები:

ელხან ალახვერდიევი 45.8%

აიიან სალახოვა 15.6 %

ავთანდილ სალახოვ 38.6%

საზოგადოების მოქმედი წესდებით კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) მიხედვით.

სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მეორე ფინანსურ ანგარიშგებას.

წლიური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დამუშავებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.



ფუნქციონირებადობის პრინციპით მომზადებული ანგარიშგება გულისხმობს დაშვებას, რომ კომპანია განაგრძნობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშო პერიოდი ემთხვევა კალენდრულ წელს.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

მოქმედი/სამუშაო ვალუტა არის ლარი და შესაბამისად ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებული ეროვნული ვალუტა - ლარი, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება ხელთ არსებული და ბანკებში არსებულ ანგარიშებზე მქონე ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია წლის ბოლო თარიღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ამონაგები

ამონაგები მოიცავს მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან/და ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო.

საზოგოდაობა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის გამოყენებით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ყველა ძირითად საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის გამოყენებით.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით.

შენიშვნები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და განიხილება ცალ-ცალკე.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან/და გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესასყიდ ფასს და შესყიდვის დროს გაწეულ დანახარჯებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის კომპანია ახდენს სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან/და ზარალში.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანდო რისკების ლიმიტების წესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამისი საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისთვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას დივიდენდის გაცემა არ განუხორციელებია.

უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისთვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

დასახელება	31/12/2020 წაშთი	31/12/2019 წაშთი
სარეალიზაციო პროდუქცია	555 058	1,300,606

ფულადი სახსრები

დასახელება	31/12/2020
1. სალარო	300.01
2. ბანკი	196 292 .30
3. ბანკი უცხ. ვალუტა (ლარში)	46977.69
ჯამი:	243570

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	243570	96792	41631
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	412503	742650	488504
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1642	42142	41671
მარაგები	555058	1300606	1444442
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	555058	1300606	1444442
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	6106	6106	6336
ძირითადი საშუალებები	304449	422555	539358
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1523328	2610851	2561942
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	34545	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	64051	172420	13269
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	21854	22936	14210
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	2147
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	402632	711405
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	120450	597988	741031
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1354785	1354785	1354785
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	48093	531667	240973
გადაფასების რეზერვი	0	126411	225153
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1402878	2012863	1820911
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1523328	2610851	2561942
სულ მოკლევადიანი აქტივები	1	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	1245079	4831749
საქონლის გაყიდვიდან	1150035	4744662
მომსახურების გაწევიდან	95044	81599
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	5488
გაყიდვების თვითღირებულება	-911783	-3676797
საწყისი მარაგები	0	1444442
მარაგების შესყიდვა	0	3532961
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	333296	1154952
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-245838	-348777
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-51171	-64848
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-8961	-42324
იჯარის ხარჯი	-95727	-135536
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-512053	-177202
სულ საოპერაციო ხარჯები	-913750	-768687
საოპერაციო მოგება	-580454	386265
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-580454	386265
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-580454	386265
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-580454	386265
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2012863	1820911
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-29531	-194313
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1402878	2012863

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	146778	55161
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	146778	55161
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	96792	41631
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	243570	96792


